დიდება დიდ ოქტომბერს!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

7 ნოემბერი, პარასკევი
№ 215 (2376) ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ექსპრეს-ინფორმაცია

⊙ გუშინ საქართველოს სპორტსახკომში შეხვედრა მოუწყვეს „იმედის თასის“ საკავშირო გათამაშებაში გამარჯვებულ საქართველოს ჭაბუკ ფეხბურთელთა ნაკრებ გუნდს და იმ პერსპექტიულ მოზარდ ფეხბურთელებს, რომლებიც ამჟამად თბილისში რესპუბლიკურ შესარჩევ ტურნირში მონაწილეობენ.

⊙ გუშინ ზუგდიდში დაიწყო საქართველოს პირველობა ცხენოსნობაში ჭაბუკთა და იუნიორთა შორის. შეჯიბრება ეძღვნება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 69-ე წლისთავს.

⊙ რუსთავში, მეგობრობის გამზირის მიმდებარე ტერიტორიაზე, დაიწყო ახალი ჩოგბურთის კორტების მშენებლობა. სულ მოეწყობა 8 კორტი.

წარმოგიდგენთ კანდიდატებს

ფლის საუკეთესო სპორტსმენი - გუნდი, მწვრთნელი

მაია აზარაშვილი

ქართველმა მძლეოსანმა მაია აზარაშვილმა ტაშკენტში, IX საკავშირო სპარტაკიადაზე მრავალწლიანი, დაუღალავი შრომის ნაყოფი მოიმკო, როცა ბევრი ძლიერი მეტოქე ჩამოიტოვა და სასახელო გამარჯვება იზეიმა. იგი მართლაც გამორჩეული ფიგურა გახლდათ ასპარეზობის ათასზე მეტ მონაწილეს შორის.

მაიას პირველად მაშინ გაუმართლა, როცა სპეციალისტებმა მისი ნიჭი შენიშნეს და სპორტში გზა დაულოცეს. კარგი დამრიგებლების ხელშიც მოხვდა. დანარჩენი კი, როგორც იტყვიან, დროის საქმე იყო. ნორჩ სპორტსმენს ხასიათიც ნამდვილი მძლეოსნისა ჰქონდა, მებრძოლი, შეუპოვარი. მაია სწრაფი ნაბიჯებით მიიწევდა წინ, თოთხმეტი წლისა უკვე სპორტის ოსტატი იყო, ასეთი რამ იშვიათია მძლეოსნობაში.

საერთოდ, მძლეოსანს ყოველდღიურად იმდენი შრომა უხდება, თუ მტკიცე ხასიათი არ აქვს, სერიოზულ წარმატებაზე ფიქრიც ზედმეტია. შეჯიბრებებისათვის მზადების პერიოდში ერთი შეხედვით მონოტონური, ქანცგამცელი ვარჯიშის დროს მძლეოსანს ყოველთვის შეუძლია გაუწყდეს მოთმინების ძაფი.

იხ. მე-4 გვ.

სხივმოსილი გზით

საოქტომბრიდ თუკი ვინმეს განსაკუთრებით ეამაყება წინსვლა-განვითარების გზაზე მოპოვებული შთამბეჭდავი მიღწევები, ეს ჩვენს ფიზკულტურელებსა და სპორტსმენებზეც ითქმის. ყველაფერი კი სწორედ იმ ღირსსახსოვარი თარიღიდან — დიდი ოქტომბრის გამარჯვების პირველი დღეებიდან იწყება. ახალგაზრდა საბჭოთა სახელმწიფოს უამრავი საშინაო თუ საგარეო პრობლემა ჰქონდა გადასაჭრელი, მაგრამ რთულ პოლიტიკურ და სოციალურ ვითარებაში იმ მნიშვნელოვან საკითხთა შორის, რომლებზეც პირადად პროლეტარიატის ბელადმა ვლადიმერ ლენინმა გაამახვილა ყურადღება, ფიზიკური აღზრდის საკითხიც იყო. საყოველთაო განათლების კურსის პარალელურად დღის წესრიგში დადგა მოსახლეობის ფიზიკური აღზრდის აუცილებლობა. დაიწყო სპორტული წრეების, სექციების ჩამოყალიბება, ჩატარდა პირველი შეჯიბრებები, ფიზკულტურელთა პარადები, 30-იანი წლებიდან კი ფიზიკური აღზრდის დასრულებული სისტემა მოქმედებს. ფიზიკური კულტურა და სპორტი ჩვენი ხალხის ერთგული მეგობარი იყო ყველგან, შრომასა თუ ბრძოლაში. ამ მოძრაობამ დიდი წვლილი შეიტანა ქვეყნის სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებაში, მისი თავდაცვითუნარიანობის განმტკიცებაში.

საბჭოთა ქვეყანა, ისევე როგორც სხვა სფეროებში, ფიზკულტურასა და სპორტშიც ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ სახელმწიფოდ იქცა მსოფლიოში. ჩვენი ხალხი ამაყობს ამით. საბჭოთა სპორტსმენები, რომელთა შორის ყოველთვის არიან საქართველოს საუკეთესო წარმომადგენლები, წარმატებით გამოდიან ყველა რანგის შეჯიბრებებში, ღირსეულად იცავენ თავიანთი ქვეყნის სპორტულ ღირსებას. ისინი კვლავაც მზად არიან დაიპყრონ ახალი სიმაღლეები.

გარდაქმნისა და დაჩქარების კურსმა, რომელიც ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროში ხორციელდება, ბევრი ბარიერი მოხსნა ფიზკულტურული და სპორტული მოძრაობის სრულყოფა-განვითარების გზაზე. ამ ცვლილებებს ყველა ცხადად ხედავს. ჩვენი მძლავრი სპორტული ინდუსტრია მთელი შესაძლებლობებით დგება ადამიანის კეთილდღეობის — მისი ჯანმრთელობის განმტკიცების, ფიზიკური წრთობის სამსახურში. ჩვენი ხალხი თავდადებით შრომობს სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა ხორცშესხმისთვის. მეთორმეტე ხუთწლედის გრანდიოზული ამოცანების გადაწყვეტაში თავის წვლილს შეიტანს ფიზკულტურა და სპორტი, ჩვენი ერთგული და ნაცადი მოკავშირე.

გაუმარჯოს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 69-ე წლისთავს!

ძეცხენეობის, საცხენოსნო სპორტისა და ტურიზმის განვითარების თაობაზე რესპუბლიკის სადირექტივო ორგანოების დადგენილების ცხოვრებაში გატარების ჩინებული მაგალითი მოგვცა წალენჯიხის ჩაის საბჭოთა მეურნეობამ. სახაგრომრეწვის კომიტეტის ხელშეწყობით აქ გაიხსნა ბავშვთა საცხენოსნო სპორტული კლუბი.

იხ. მე-2 გვ.

ახალი გზის სათავესთან

⊙ სპორტის რამდენ სახეობას ემსახურება თქვენი სამმართველო?

— კალათბურთს, ფრენბურთს, ხელბურთს, ჩოგბურთს, მაგიდის ჩოგბურთს, რეგბის, ბალახის ჰოკეის, ბადმინტონს, ლელობურთს და ბეისბოლს. თუ არ ვცდები, ათი სახეობა გამოვიდა.

⊙ თქვენი სიმპათიები, სავსებით გასაგები მიზეზების გამო, ალბათ, კალათბურთისკენ იხრება, არა?

— სწორედ ეს არ უნდა მოხდეს. ჩვენს სამმართველოს სპორტთამაშობათა სამმართველო ჰქვია და არა კალათბურთის სამმართველო.

⊙ და მაინც, ალბათ კალათბურთს მიანიჭებთ უპირატესობას?

— კალათბურთი დღესდღეობით ერთადერთი სახეობაა, არაფერს ვამბობ ფეხბურთზე, რომელშიც საქართველოს სპორტსახკომმა სპორტთამაშობათა სამმართველოს უფროსად დანიშნა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი კალათბურთში, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ლევან ჩხიკვაძე.

სხვადასხვა დროს ლევან ჩხიკვაძე იყო რესპუბლიკის მოსწავლეთა და სსრ კავშირის ახალგაზრდული ნაკრების წევრი, თამაშობდა თბილისის „ბურევესტნიკში“ და „დინამოში“, უმაღლეს ლიგაში 14 წელი აქვს გატარებული. 1983 წლიდან მუშაობდა კალათბურთელთა სპეციალიზებული სპორტსკოლის დირექტორად.

იხ. მე-4 გვ.

ჩემპიონი, რომელიც ვარჯიშისთვის ვერ იცლიდა

განგება ერთისთვის გონიერების გარდა ყველა სიკეთეს დაუშურებლად გაიღებს, მეორისთვის კი ნიჭის მეტი არაფერი ემეტება. ზინა ჭკადუასათვის ღმერთმა მხოლოდ ნიჭი გაიმეტა. სწორედ ნიჭის წყალობა იყო, რომ ამ ხა-



იხ. მე-4 გვ.

ზუგდიდში გაიმართა საერთაშორისო შეჯიბრება სასტენდო სროლაში, რომელშიც საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის ბევრი ახალგაზრდა სპორტსმენი მონაწილეობდა. მრავალ სტენდზე სროლაში გაიმარჯვა თამაზ იმნაიშვილმა, ადგილიდან სროლაში — ალექსანდრე ასანოვმა. (წერილს ამ შეჯიბრების შესახებ „ლელოს“ უახლოეს ნომერში შემოგთავაზებთ).

* * *

სურათზე: თამაზ იმნაიშვილი.

მალხაზ ფიფიას ფოტო.



თვის მონაგარი

ახალი ამოცანები, ახალი პერსპექტივები

სპორტული სექტემბრის ხვავი და ბარაქა, რა დასამალია და, საბჭოთა კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადაზე რესპუბლიკის სპორტსმენთა კარგმა გამოსვლამ მოგვიტანა. სექტემბრის სტარტებმა ჩვენს გულშემატკივრებს გულიც ატკინა და ბევრი სიხარულიც მოუტანა. ამ სიხარულის თავისებური გვირგვინი გახლდათ არაოფიციალური გუნდური ჩათვლაში მოპოვებული VII ადგილი და ასევე VII ადგილი ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლების რაოდენობითაც. სპარტაკიადამ ქართული სპორტის წინაშე ახალი ამოცანები და პერსპექტივები დასახა, რომელთა წარმატებით გადაჭრა ჩვენი მთავარი სამოქმედო პროგრამა უნდა გახდეს უახლოესი ოთხი წლის მანძილზე, სპარტაკიადიდან — სპარტაკიადამდე.

ოქტომბერი, სახპარტაკიადო სექტემბერთან შედარებით „მშვიდი“ თვე გამოდგა, რაც ნაწილობრივ სპორტულ ღონისძიებათა კალენდრის ერთგვარი სიღარიბით იყო გამოწვეული. თუმცა ეს მუდამ ასეა. დატვირთულ კალენდარს, როგორც წესი, ხანმოკლე „ტაიმ-აუტი“ მოჰყვება ხოლმე, ფსიქოლოგიური განტვირთვისთვის, ახალ მწვერვალებზე იერიშის მიტანის წინ სულის მოსათქმელად.

და მაინც ოქტომბერში ჩვენმა სპორტსმენებმა რამდენიმე შთამბეჭდავი გამარჯვება იზეიმეს, რომელთაგან უველაზე მნიშვნელოვანია ქართველ მოჭადრაკე ქალთა და მათი აღიარებული ლიდერის მაია ჩიბურდანიძის წარმატება.

...16 ოქტომბერს, ბორჯომში, მაია ჩიბურდანიძემ და ელენა ახმილოვსკაიამ მსოფლიო პირველობაზე გამართული მატჩის მეცამეტე პარტია გაითამაშეს. შეხვედრა მსოფლიო ჩემპიონის უპირატესობით მიმდინარეობდა, მაგრამ იმ დღეს არ დამთავრებულა. მეტოქეები მეორე დღეს, თამაშის განუახლებლად ყაიმზე შეთანხმდნენ. მაია ჩიბურდანიძემ 8 ქულა მოაგროვა და მეოთხედ მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული.

როგორც ცნობილია, ამ მატჩის პირველი ნახევარი ბულგარეთის დედაქალაქ სოფიაში ჩატარდა. თანამედროვეობის ორი გამოჩენილი მოჭადრაკის ბრძოლამ წარუშლელი კვალი გაავლო ქვეყნის საჭადრაკო ცხოვრებაში, ხელი შეუწყო მოძმე ბულგარეთში სპორტის ამ სახეობის შემდგომ წინსვლასა და პოპულარიზაციას, რაც მთავარია, უფრო მეტად განამტკიცა საბჭოთა კავშირისა და ბულგარეთის სპორტსმენთა მეგობრობა.

მაია ჩიბურდანიძეს საჭადრაკო გვირგვინისთვის ბრძოლაში მუდამ ღირსეული მეტოქეები ჰყავდა. ამჯერადაც ასე იყო, თუმცა ელენა ახმილოვსკაიამ თავისი სანაქებო თვისებები, ამჯერად, ბოლომდე ვერ გამოავლინა.

მიზეზი?

ალბათ ჩემპიონის სიძლიერეში, მის უჩვეულო ბრძოლისუნარიანობაში, მტკიცე ხასიათში უნდა ვეძებოთ. სპეციალისტები ფიქრობენ და ალბათ ასეც არის: მატჩის ბედი ფაქტიურად სოფიაში გადაწყდა, პირველი ნახევრის შემდეგ ჩემპიონის უპირატესობა იმდენად დიდი იყო, რომ რაიმეს შეცვლა შეუძლებელი გახდა. ჩიბურდანიძე — ახმილოვსკაიას მატჩი დედოფლის გვირგვინისთვის მსოფლიოს ჭადრაკის ისტორიის კიდევ ერთი სახსახელო ფურცელია, რომელიც ახალგაზრდობას ცოდნის დაუფლებისა და წინსვლის სტიმულს მისცემს.

ოქტომბრის მიწურულს ფინეთის სწორზე გავიდა საბჭოთა კავშირის მოჭადრაკე ქალთა ჩემპიონატი. ოქტომბერშივე გახდა ცნობილი ახალი ჩემპიონის ვინაობა: ისევ და ისევ ქართული საჭადრაკო სკოლის ბრწყინვალე წარმომადგენელი ნანა იოსელიანი. ბარაქალა ჩვენ ქალებს!

იხ. მე-2 გვ.

თვის მონაგარი

დასასრული

თვის მონაგარი ფალავანთა წვლილის გარეშე ძნელი წარმოსადგენია. ოქტომბერში უნგრეთის დედაქალაქმა კლასიკური და თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა მსოფლიო ჩემპიონატს უმასპინძლა. ქართული სპორტის გულშემატკივართა უურადღება, ბუნებრივია, დავით გობეჯიშვილის გამოსვლებისაკენ იყო მიპყრობილი. ვერცხლის მედალი ასეთ ავტორიტეტულ და პრესტიჟულ ტურნირში, კაცმა რომ თქვას, ცუდი შედეგი არ უნდა იყოს. და ჩვენც არაფერს ვიტყოდით ამის შესახებ (რა თქმა უნდა, ქების გარდა), ერთი გარემოება რომ არა.

დავით გობეჯიშვილს ბუდაპეშტში ფაქტიურად ერთი მოწინააღმდეგე ჰყავდა — ამერიკელი ბრიუს ბაუმგარტნერი, ლოს-ანჯელესის ოლიმპიური თამაშების - ჩემპიონი. დავით გობეჯიშვილს, როგორც მსოფლიო ჩემპიონს, ეს პრინციპული ბრძოლა უნდა მოეგო. ამიტომ დააყენეს იგი ნაკრებში პირველ ნომრად, მისი სჯეროდათ, მისი იმედი ჰქონდათ, მაგრამ, რა დასამალია და, ჩვენი ჩემპიონი არც ფსიქოლოგიურად და, რაც მთავარია, არც ფიზიკურად მომზადებული ვერ აღმოჩნდა. გული ამან დაგვწყვიტა, თორემ სხვა მოჭიდავის ვერცხლის მედალს უსათუოდ სიხარულითა და ზარ-ზეიმით შევხვდებოდით.

მოსკოვის ოლქის ქალაქ ბალაშიხაში შეიარაღებულ ძალთა საკავშირო პირველობა ჩატარდა ძიუდოში. სპეციალისტთა განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელმა გიორგი თენაძემ, რომელიც ამჯერად უფრო მაღალ წონით კატეგორიაში გამოდიოდა, მაგრამ ტოლი არავის დაუდო და პირველი ადგილი დაიკავა. მასთან ერთად შეიარაღებულ ძალთა ჩემპიონები გახდნენ ჩვენი თანამემამულეები ბ. ჯიქური (71 კგ) და ჯ. მჭედლიშვილი (86 კგ). გიორგი თენაძემ ოქტომბერში ერთხელ კიდევ გამოიჩინა თავი — ვენაში, ძიუდოისტთა მსოფლიო თასის გათამაშებაში მეორე საპრიზო ადგილი დაიკავა.

კლასიკურ ჭიდაობაში საკავშირო თასის გათამაშების სისტემაში ბოლო დროს მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა. 1985 წლის შედეგების მიხედვით, გუნდები სამ ჯგუფად დაიყვნენ. უმაღლეს ლიგაში მოხვდნენ ის კოლექტივები, რომლებმაც შარშანდელი მაჩვენებლების მიხედვით კომპლექსურ ჩათვლაში I-VI ადგილები დაიკავეს.

საქართველოს კლასიკოსებს პირველ ლიგაში გამოსვლა მოუხდათ. ეს შეჯიბრება უზბეკეთის ქალაქ ნავოიში გაიმართა. ჩვენმა გუნდმა ყველა კონკურენტი დაამარცხა, პირველი ადგილი დაიკავა და უმაღლესი ლიგის საგზური მოიპოვა.

ლეილა მესხმა უკვე კარგა ხანია დაიმკვიდრა ადგილი ჩვენი ქვეყნის უძლიერეს ჩოგბურთელთა შორის, მაგრამ ზამთრის საკავშირო ჩემპიონატში გამარჯვებულს სასპარტაკიადო ტურნირში ხელი მოეცარა: დაშავებული იყო და უმაღლესი ტიტულებისთვის ბრძოლა ვერ შეძლო — შეჯიბრებას გამოეთიშა. მაგრამ აი, ტაშკენტის საკავშირო ჩემპიონატში ქართველი ჩოგბურთელი ისევ ვიხილეთ კორტზე და ისევ მოწინავეთა შორის. მან ორი ვერცხლის ჯილდო მოიპოვა — ერთეულთა და წყვილთა თანრიგში. დაგვეთანხმებით ალბათ, უძლიერესთა ტურნირში მოპოვებული ორი ვერცხლის მედალი უმნიშვნელო წარმატება არ გახლავთ.

ვლადიმერ გოგოლაძემ ტანმოვარჯიშეთა სასპარტაკიადო ტურნირში ერთი ოქროს (ღერძზე), ერთი ვერცხლის (მრავალჯიდში) და ორი ბრინჯაოს (ტაიჭზე, გუნდურ შეჯიბრებაში) მედალი მოიპოვა. მსგავს წარმატებას მხოლოდ ღირსეულთა შორის ღირსეული სპორტსმენები აღწევენ. ვლადიმერ გოგოლაძემ მტაცედ დაიმკვიდრა ადგილი საბჭოთა კავშირის ტანმოვარჯიშეთა ნაკრებში, რაც იმას ნიშნავს, რომ მას მსოფლიო სარბიელზეც შეუძლია ისახელოს თავი.

სტაბილურობა დიდი სპორტსმენის მთავარი თვისებაა. აი, ამის კიდევ ერთი დამადასტურებელი მაგალითი: სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალთა პირველობაზე ვლადიმერ გოგოლაძემ აბსოლუტური ჩემპიონის წოდება მოიპოვა მრავალჯიდში. ტრადიცია ასეთია — საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრი, რომელიც მსოფლიო ტანვარჯიშის მწვერვალების დალაშქვრას ცდილობს, ყველა ტურნირში პირველი უნდა იყოს.

და კიდევ ოქტომბრის ერთი სიურპრიზი: ეს სასიხარულო ცნობა სამიოდე კვირის წინ გაგრიდან მივიღეთ. მეკლდეურეთა საკავშირო ჩემპიონატის პირველ დღეს წყვილთა გარბენში ყველას ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელმა ეკატერინე ჭკადუამ აჯობა. იგი ქვეყნის ჩემპიონი გახდა. იცით, რატომ მივაქციეთ ამ გამარჯვებას საგანგებო ყურადღება? იმიტომ, რომ საკავშირო ჩემპიონატების ისტორიაში ჩვენი ქალთა გუნდის წარმომადგენელმა პირველად მოიპოვა უმაღლესი ჯილდო — ოქროს მედალი.

საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობაზე ითქვა: უნდა მივაღწიოთ ფიზიკულტურული მოძრაობის ნამდვილ მასობრიობას, რომ რესპუბლიკის თითოეული მცხოვრები და უწინარეს ყოვლისა ახალგაზრდობა აქტიურად მისდევდეს სპორტს, რაც დიდი სახელმწიფოებრივი და პატრიოტული საქმეა.

გამოცდილებას სხვებსაც უზიარებენ

ვალერი ჭანტურიას სამეურნეო საქმიანობას კარგად იცნობენ ჩვენს რესპუბლიკაში, მაგრამ იგი ამავე დროს საცხენოსნო სპორტის დიდი ქომაგიც გახლავთ. ცხენოსნობისადმი მას თავიდანვე დიდი სიყვარული და პატივისცემა ამოძრავებდა.

ამ რამდენიმე წლის წინ ვალერი ჭანტურია შრომის წითელი დროშის ორდენოსან წალენჯიხის ჩაის საბჭოთა მეურნეობის დირექტორად დანიშნეს. მეურნეობამ მისი ხელმძღვანელობით არნახულ ეკონომიკურ მაჩვენებლებს მიაღწია. კოლექტივმა ხუთჯერ (3-ჯერ ზედიზედ) მიიღო საკავშირო გარდამავალი წითელი დროშა.

50-იან წლებში წალენჯიხის რაიონი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საცხენოსნო ცენტრი იყო. საცხენოსნო სპორტულ კლუბს მთელი ხუთი წლის განმავლობაში სათავეში ედგა სპორტის ამ სახეობის ამაგდარი მუშაკი და ჩინებული სპეციალისტი, აწ გარდაცვლილი რევაზ (ბიკა) კორძაია. წალენჯიხელი მხედრები რესპუბლიკურ შეჯიბრებებშიც წარმატებით გამოდიოდნენ. აღსანიშნავია, რომ საქართველოს ეს კუთხე ოდითგანვე მეჯოგეობით იყო განთქმული, მეჯოგეთა ერთგული მეგობარი კი ცხენი იყო ყოველთვის.

აქაურ ცხენოსნობის მოყვარულთა სული და გული იყო აწ განსვენებული გვეგვე მიქავა.

ვალერის ცხენი მამამ — ანდრო ჭანტურიამ შეაყვარა. მამა ცნობილი ზოოტექნიკოსი იყო. მათ ოჯახში ხშირად იკრიბებოდნენ ცნობილი ცხენოსნები. ვალერის დღემდე ცოცხლად შემორჩა ბავშვობის წლებში ნახახი და განცდილი. ამიტომ იყო საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელობიდან პირველმა მან რომ მოჰკიდა ხელი ცხენოსნობის აღორძინების საქმეს. მეურნეობაში აშენდა შესანიშნავი საჯინიბო 12 ცხენისათვის. ამავე შენობაში დაიდო ბინა ადმინისტრაციამ, აქვეა საკლასო ოთახები, სააქტო დარბაზი. მეურნეობაში ამჟამად რვა ცხენი ჰყავთ. შეიქმნა ბავშვთა საცხენოსნო სპორტული კლუბი. ყველა გულისყურით ეკიდება საქმეს. წალენჯიხის სოფლის მეურნეობის აგროსამრეწველო გაერთიანებამ ცხენების მოვლა-შენახვისათვის მეურნეობას სპეციალური ხარჯთაღრიცხვა დაუმტკიცა.

ნორჩი მხედრების აღზრდის საქმეს უნარიანად უძღვება წარსულში საქართველოს ორგზის ჩემპიონი დაბრკოლებათა გადალახვაში ჭიჭიკო კვარაცხელია. კლუბის მესვეურებს გვერდში ამოუდგნენ ვეტერანი მხედრები მიხეილ შანავა და ბოჩია კვარაცხელია. ბავშვებიც გულმოდგინებას იჩენენ — უვლიან ცხენებს, საკვებსაც თავად უმზადებენ მათ. მეურნეობას აქვს საუკეთესო მარტივი ტიპის ჩოგბურთის, კალათბურთის, ფეხბურთის, ფრენბურთის მოედნები. მშრომელები და მათი ოჯახის წევრები აქტიურად ისვენებენ თავისუფალ დროს. მეურნეობის დირექტორი ახლა იპოდრომის, თუნდაც მარტივი ტიპის სარბიელის გაშენებაზე ფიქრობს. უამისოდ გაგვიძნელდება ცხენოსნობის ეროვნული სახეობების აღდგენა, რაც თუნდაც იმიტომაცაა აუცილებელი, რომ ადგილობრივი ჯიშის ცხენები გადაშენებისაგან დავიცვათო — ამბობს.

დღეს კი... დღეს სავარჯიშო მოედნებზე ნორჩ მხედრებს ყოველ დღიურად გამოჰყავთ შესანიშნავი მერნები: „ანზორი“, „ნავოი“, „ალბომი“, „საკი“, „ავანსი“... ნორჩი სპორტსმენებიდან განსაკუთრებით გამოირჩევა მეორეთანრიგოსანი 14 წლის პაატა კვარაცხელია, გაბედულად მიაგელვებს თავის ბედაურს მურთაზ კაცია, თითქოს უნაგირს შეზრდიან ლევან და ლაშა შანავები, მურთაზ ლემონჯავა, კახა ხოველია... ჯერჯერობით წალენჯიხელები მხოლოდ გამოცდილების შეძენის მიზნით მონაწილეობენ შეჯიბრებებში.

ცხენოსნობის სექციებში ჩაწერის მსურველებს ვერ აუდიან. ამიტომაც გადაწყვიტა მეურნეობის თავკაცმა დამატებით შეიძინოს ცხენები. წალენჯიხელთა შესანიშნავი თაოსნობა მალე გახმაურდა, ახლა მათთან მეზობელი რაიონებიდანაც ჩამოდიან გამოცდილების მისაღებად.

თამაზ ძიძავა.

წალენჯიხა.

• • •

სურათებზე: ზემოთ — ვ. ჭანტურია სოფლის ნორჩ მხედრებთან; ქვევით, მარცხნივ — ვარჯიშზე, მარჯვნივ — 14 წლის პ. კვარაცხელია დაბრკოლების გადალახვისას.

ავტორის ფოტო.

რეგბი რუსთავშიც ინერგება

ძველ რეგბისტებს, ალბათ, გაეღიმებათ, ამ სურათს რომ დახედავენ. ფეხბურთის მოედანი, კალათბურთის ბურთი და... ნორჩი რეგბისტები თავიანთი წინამორბედების ძნელ გზას რომ დასდგომიან. რუსთავში ახლადჩამოყალიბებულ რეგბისტთა ჯგუფს სულ მალე, ალბათ, მოედანიც საკუთარი ექნება და სპორტინვენტარიც. პირველი ნაბიჯებისთვის კი რუსთავის № 3 საშუალო პროფტექნიკური სასწავლებლის ფეხბურთის მოედანიც ვარგა და კალათბურთის ბურთიც. რუსთაველი ყმაწვილები, ასაკითაც და საქმითაც პიონერები, არც უყურადღებობას უჩივიან — მათ ხომ კომკავშირის რუსთავის საქალაქო კომიტეტი (პირველი მდივანი — ავთანდილ ლობჟანიძე) და სახლშშენებელი კომბინატი (დირექტორი — მურთაზ დეკანოსიძე) ქომაგობენ და შეფობენ. ყველაზე მეტად მაინც თავიანთი პირველი დამრიგებლები ესახელებათ — გია ქერაშვილი თბილისის „ლოკომოტივის“ ყოფილი წევრია, სპორტის ოსტატი, „ნამდვილი“ რეგბისტები არიან მისი თანაშემწეებიც — მევლუდ ბებიაშვილი და თამაზ გარსევანიშვილი.

ბატუტზე ხტომა

არმიელთა წარმატება

ბატუტზე ხტომაში საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების ჩემპიონატზე და პირველობაზე, რომელიც კიევში გაიმართა, ამიერკავკასიის გუნდის ღირსებას თბილისელი სპორტსმენები იცავდნენ. უნდა ითქვას, რომ არმიელ ბატუტისტებს დღეს წამყვანი პოზიციები უკავიათ ჩვენს ქვეყანაში და მათ შეჯიბრებაში გამარჯვება საპატიოა. გვახარებს ის, რომ ჩვენმა სპორტსმენებმა კარგად გაართვეს თავი ამოცანას. ჩემპიონატში, ინდივიდუალურ აპარეზობაში ბრინჯაოს მედალი მოიპოვა მე-11 სკოლის მეათეკლასელმა ინგა მენთეშაშვილმა. გოგონები გაცილებით უკეთესად გამოვიდნენ სინქრონულ წყვილებში, აქ მათ მეორე ადგილი და ვერცხლის მედლები დაისაკუთრეს.

პირველობაზე ფიზკულტურის ინსტიტუტის მეორე კურსის სტუდენტმა ხათუნა ცხოვრებოვამ მეორე ადგილი დაიკავა. მე-13 სკოლის მეათეკლასელი სვეტლანა გულიაევა მესამე ადგილზე გავიდა. სინქრონულ შეჯიბრებაში მათ მეორე ადგილი დაიკავეს.

ძლიერმა ბატუტისტებმა მოიყარეს თავი ვაჟთა შეჯიბრებაში. ჩემპიონატში ჩვენმა სინქრონულმა წყვილმა — ფიზკულტურის ინსტიტუტის I კურსის სტუდენტმა ზურაბ კიკნაძემ და იგორ ჩერნიავსკიმ IV ადგილი დაიკავეს და მხოლოდ ოთხი მეათედი ქულით ჩამორჩნენ მესამე ადგილზე გასულ წყვილს. ინდივიდუალურ შეჯიბრებაში ჩვენი გუნდის წევრებიდან ყველაზე კარგად იასპარეზა ფიზკულტურის ინსტიტუტის პირველი კურსის სტუდენტმა რობერტ ოგანესიანმა, რომელმაც IV ადგილი დაიკავა. პირველობაზე IV ადგილი დაიკავა აკაკი გაბაშვილმა. გუნდურ შეჯიბრებაში როგორც ჩემპიონატში, ისე პირველობაზე, ჩვენმა ბატუტისტებმა მესამე ადგილი დაიკავეს. გუნდი შეჯიბრებისთვის მოამზადეს საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელმა თენგიზ ხუდოევმა, ზაურ ხელაშვილმა და ევრაპიდ გალჩევმა.

თელაველებს მოსწონთ ბატუტი

თელავი წელს მეორედ უმასპინძლა ბატუტზე მხტომელთა პირად-გუნდურ შეჯიბრებას საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პრიზზე. როგორც მოსალოდნელი იყო, შეჯიბრებაში თითქმის ყველა პირველი ადგილი თბილისელმა სპორტსმენებმა დაიკავეს: გოგონათა პირად პირველობაში გაიმარჯვა 48-ე სკოლის მეცხრე კლასის მოსწავლემ ნინო შერმადინმა, ვაჟთა შეჯიბრებაში — რუსთავის მე-18 სკოლის მერვე კლასის მოსწავლემ ზაზა აბრამიშვილმა (ზაზა თბილისში ვარჯიშობს). სინქრონისტთა ასპარეზობაში ინა წიკლაურთან (176-ე სკ. მე-9 კლ.) ერთად კვლავ პირველი იყო ნინო შერმადინი. ვაჟთა შეჯიბრებაში გაიმარჯვეს მე-8 სკოლის მეშვიდეკლასელმა ზაალ ხიზანიშვილმა და მე-11 სკოლის მეშვიდეკლასელმა მიხეილ ნიკოლაიშვილმა. გუნდური პირველი ადგილი დაიკავა თბილისის პირველმა გუნდმა, მეორე — ქუთაისის, მესამე — აფხაზეთის გუნდმა.

ის, რომ ასპარეზობაში მხოლოდ ხუთი რეგიონის (თბილისი, ქუთაისი, აჭარა, აფხაზეთი და თელავი) სპორტსმენები მონაწილეობდნენ, თავისთავად საგანგაშოა, მაგრამ მოგეხსენებათ, მთავარი მაინც ხარისხია. სამწუხაროდ, პერიფერიის სპორტსმენთა ვარჯიშებს სერიოზული ხარვეზები აქვს. როგორც ჩანს, მწვრთნელები საკუთარ ცოდნასა და გამოცდილებას არ იღრმავებენ.

ამ ბოლო დროს ბატუტისტებთან შედარებით უკეთ მუშაობენ ქუთაისში.

საქართველოს ბატუტისტთა ნაჯრები ამჟამად დნეპროპეტროვსკში იმყოფება, სადაც 1968-71 წლებში დაბადებულ სპორტსმენთა საკავშირო პირველობა ტარდება.

ჯემალ კასრაძე.

I ლიგა

კიდევ ცოტა, „გურია“!

I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების ფინიშამდე სულ ორი ტურიღა დარჩა. გამონაკლისია მხოლოდ ცსკა, რომელსაც მეტოქეებზე ერთით მეტი თამაში აქვს ჩასატარებელი.

სულ მცირე ხნის წინ უმაღლესი ლიგის საგზურის პრეტენდენტი რამდენიმე გუნდი იყო, მათ, არსებითად, უკვე ჩამოსცილდნენ დუშანბეს „ვამირი“, ლვოვის ასკ „კარპატი“, ახლა დარჩა მხოლოდ სამი კანდიდატი: „დაუგავა“ (რიგა), „გურია“ (ლანჩხუთი) და ცსკა. 5 ნოემბერს, სამივე ეს გუნდი მონაწილეობდა 46-ე ტურის მატჩებში. რიგელებმა თავიანთ მინდორზე მიიღეს ლვოვის ასკ „კარპატი“ და დაძაბული ბრძოლის შედეგ გაიმარჯვეს — 2:1. ასეთივე შეუპოვარი იყო ბრძოლა ვორონეჟში, სადაც ადგილობრივმა „ფაკელმა“ წააგო ცსკა-სთან — 0:1.

და, აი, კიდევ ერთი ლიდერის — ლანჩხუთის „გურიის“ მატჩი კრასნოდარში, ადგილობრივ „უუბანთან“.

რა შეიძლება ითქვას ლანჩხუთელ ფეხბურთელთა შესახებ? ეს გუნდი უკვე მეშვიდე წელია I ლიგაში გამოდის, მისი მაჩვენებლებით ჩვენი სპორტული საზოგადოებრიობა უკმაყოფილო არასოდეს ყოფილა, თუმცა, „გურიის“ გამოსვლებს ამ ხნის მანძილზე ერთი დასანანი „ხინჯი“ ახლდა თან: იგი კარგად თამაშობდა საკუთარ მინდორზე, მაგრამ სტუმრად ვერ იჩენდა საჭირო სანებისყოფო თვისებებს, შესაბამის ბრძოლისუნარიანობას. ახლა კი, როცა 1986 წლის ნიმუშის „გურიაზე“ ვილაპარაკებთ, საგანგებოდ შეგვიძლია ხაზი გავუსვათ მის გამარჯვებებს მეტოქეთა მინდვრებზე, თანაც, რაც მთავარია, იმ მატჩებში, რომლებსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვთ. ასე იყო ამას წინათ დონის როსტოვში, ასე იყო ტაშკენტში, ორჯონიკიძეში, და ასე იყო 5 ნოემბერს კრასნოდარშიც.

როცა კრასნოდარის „უუბანთან“ მატჩს ვაანალიზებთ, არ უნდა დავივიწყოთ, რომ ეს გუნდი ოდესღაც უმაღლეს ლიგაში გამოდიოდა, ახლა კი გათამაშების ცხრილში იმ ადგილზე იმყოფება, საიდანაც სულ ერთი ნაბიჯია II ლიგამდე. წარსულში ძლიერი გუნდი ახლა ყოველნაირად ცდილობს გამოასწოროს მდგომარეობა, მას სულ რაღაც 2-3 ქულა სჭირდება, თავიდან რომ აცილოს უსიამოვნო პერსპექტივა. ამიტომ, ბუნებრივია, კრასნოდარელი ფეხბურთელები თავიანთ მინდორზე მაქსიმალური ძალით იბრძოლებდნენ ლიგაში დასარჩენი ქულების მარაგის შესავსებად.

თამაში „უუბანის“ სტადიონზე გაიმართა. როგორც სტატისტიკოსებმა გამოიანგარიშეს, ლანჩხუთის „გურიისთვის“ ეს გახლდათ საიუბილეო, მე-300 შეხვედრა I ლიგაში, ამიტომაც გუნდი ვალდებული იყო ღირსეულად აღენიშნა თავისი ეს „მინი-იუბილე“, მით უმეტეს, რომ მისი მეტოქე ამ შეხვედრაში ფრეს არ დასჯერდებოდა, „უუბანს“ უკვე შესრულებული აქვს ფრეთა ლიმიტი — 12.

მატჩი პირველივე წუთებიდან უკიდურესი დაძაბულობით აღინიშნა. ლანჩხუთელებმა ზედიზედ რამდენიმე სწრაფი შეტევა განახორციელეს, კრასნოდარელთა მეკარე ჯანჯღავას ძნელი ბურთების აღება მოუხდა აკოფიანის, ფრიდოფნაშვილის, მ. თევზაძის, ჩხაიძისაგან. ამავე დროს, მეტად სახიფათო იყო მასპინძელთა კონტრიერიშებიც და ამ შემთხვევებში მოწოდების სიმაღლეზე იდგნენ როგორც მეკარე გ. იმნაძე, ისე მცველებიც.

ტაიმი უშედეგოდ დამთავრდა — 0:0. შესვენების შემდეგ ბრძოლა ახალი ძალით გაგრძელდა, მიმდინარეობდა 55-ე წუთი, როცა „უუბანის“ მხარეს სჯარიმო დაინიშნა, „გურიის“ წამყვანმა ფეხბურთელმა კოპალეიშვილმა ამ მომენტშიც საუკეთესოდ ითამაშა და პირველი ბურთი გაიტანა მეტოქის კარში — 1:0.

მცირე ხანს შემდეგ „უუბანმა“ თავისი ერთ-ერთი კონტრიერიშით საპასუხო გოლით დაამთავრა: გერასიმოვის დარტყმა მოხვდა ძელს და კარში გავიდა — 1:1.

UEFA ევროპის საკლუბო ტურნირები

საბჭოთა გუნდების დიდი წარმატებები

განვლილ ოთხშაბათს გაიმართა ფეხბურთში ევროპის საკლუბო ტურნირების II წრის საპასუხო მატჩები. კიევის „დინამო“, მოსკოვის „ტორპედო“ და მოსკოვის „სპარტაკი“ გათამაშებათა შემდგომ ეტაპებზე გავიდნენ.

ჩემპიონთა თასი

კიევი. მაყურებელთა 100-ათასიანი აუდიტორიის მხარდაჭერით დინამოელებმა ინიციატივიანად დაიწყეს თამაში გლაზგოს „სელტიკის“ (შოტლანდია) წინააღმდეგ. მიმდინარეობდა მე-12 წუთი, როცა შოტლანდიელთა კარში დაინიშნა საჯარიმო და კიევის „დინამოს“ თავდამსხმელმა ოლეგ ბლოხინმა, რომელსაც ამ დღეს 34 წელი შეუსრულდა, ზუსტად გაგზავნა ბურთი მიზანში — 1:0. შესვენების შემდეგ შოტლანდიელმა მაკგომ ანგარიში გაათანაბრა, მაგრამ შემდგომში კიეველებმა მოუმატეს ტემპს, იაკოვენკომ და ევტუშენკომ ანგარიში აიყვანეს 3:1-მდე.

ტურინი ერთმანეთს შეხვდნენ იტალიისა და ესპანეთის ჩემპიონები — „იუვენტუსი“ და მადრიდის „რეალი“. ისევე, როგორც ორი კვირის წინ, მატჩი დამთავრდა ანგარიშით 1:0. მაგრამ ამჯერად გაიმარჯვეს იტალიელებმა. დამატებით დროში ანგარიში არ შეცვლილა. 11-მეტრიანები უფრო ზუსტად შეასრულეს ესპანელებმა — 3:1.

გათამაშებას გამოეთიშა პრიზის შარშანდელი მფლობელი ბუქარესტის „სტიაუა“. რუმინელებმა ბელგიის „ანდერლეჰტს“ შინ ანგარიშით 1:0 მოუგეს, მაგრამ პირველი შეხვედრა მათ წაგებული ჰქონდათ დიდი სხვაობით — 0:3.

დანარჩენ შეხვედრათა შედეგები: „აუსტრია“ (ავსტრია) — „ბაიერნი“ (გფრ) 1:1, „დინამო“ (ბერლინი, გდრ) — „ბრონდბიუ“ (დანია) 1:1, „პორტო“ (პორტუგალია) — „ვიტკოვიცე“ (ჩეხოსლოვაკია) 3:0, „ცრვენა ზვეზდა“ (იუგოსლავია) — „როზენბორგი“ (ნორვეგია) 4:1.

ჩემპიონთა თასის მეოთხედფინალში ბრძოლას განაგრძობენ: „დინამო“ (კიევი), „ბაიერნი“ (გფრ), „ბრონდბიუ“ (დანია), „რეალი“ (მადრიდი, ესპანეთი), „პორტო“ (პორტუგალია), „ცრვენა ზვეზდა“ (იუგოსლავია), „ანდერლეჰტი“ (ბელგია), „ბეშიქთაში“ (თურქეთი).

თასების მფლობელთა თასი

შტუტგარტი. მოსკოვის „ტორპედოს“ შინ პირველი შეხვედრა მოგებული ჰქონდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის „შტუტგარტთან“ — 2:0. მოსკოველებმა ძალზე ძლიერად ითამაშეს შტუტგარტშიც და კვლავ გაიმარჯვეს — 5:3. ბურთი გაიტანეს ი. და ნ. სავიჩევებმა (2-2), ერთიც — პლოტნიკოვმა. მასპინძელთაგან თავი გამოიჩინეს კლინსმანმა, პაშიჩმა და სიგურვინსონმა.

გათამაშების მეოთხედფინალში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს მოსკოვის „ტორპედომ“, აგრეთვე, „ბორდომ“ (საფრანგეთი), „ლოკომოტივმა“ (გდრ), „მალმემ“ (შვეიცარია), „აიაქსმა“ (ჰოლანდია), „სიონმა“ (შვეიცარია), „ვიტოშამ“ (ბულგარეთი), „სარაგოსამ“ (ესპანეთი).

აქ ყველაზე საინტერესო იყო საფრანგეთის „ბორდოსა“ და პორტუგალიის „ბენფიკას“ მატჩი. გაიმარჯვა „ბორდომ“ — 1:0 (პირველი მატჩი დამთავრდა ფრედ — 1:1).

უეფა-ს თასი

მოსკოვი. მეტად რთული ამოცანის წინაშე იმყოფებოდა მოსკოვის „სპარტაკი“, რომელმაც პირველ მატჩში საფრანგეთის „ტულუზასგან“ სტუმრად მიაცხი განიცადა ანგარიშით 1:3. სპარტაკელებმა 5 ნოემბერს შინ მთელი მონდომებით ითამაშეს და დამაჯერებელი რევანშიც აიღეს — 5:1. 2-2 ბურთი გაიტანეს რუდაკოვმა და ნოვიკოვმა, ერთი — როდიონოვმა. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ მატჩში პირველ წარმატებას ფრანგებმა მიაღწიეს: ბურთი მე-7 წუთზე გაიტანა დიურანმა.

მათ შორის, ვინც მერვედფინალში გავიდა, არიან: „სპარტაკი“ (მოსკოვი), „ბევერენი“ (ბელგია), „ვიტორია“ (პორტუგალია), „დუკლა“ (ჩეხოსლოვაკია), „გლაზგო რეინჯერსი“ (შოტლანდია), „ინტერი“ (იტალია), „ბორუსია“ (გფრ), „ჰაიდუკი“ (იუგოსლავია), „ბარსელონა“ (ესპანეთი).

აღსანიშნავია, რომ მილანის „ინტერმა“ ვარშავაში ანგარიშით 2:3 წააგო „ლეგიასთან“, საპასუხო მატჩი კი შინ მოიგო ანგარიშით 1:0, მეტოქის მინდორზე გატანილი ბურთების მეტი როდენობის წყალობით „ინტერი“ გათამაშების შემდგომ ეტაპზე გავიდა.

შეხვედრა ლევ იაშინთან

ლევ იაშინი! ლეგენდარული საბჭოთა სპორტსმენი, მსოფლიოს ფეხბურთის ერთ-ერთი საუკეთესო მეკარე. წლების მანძილზე (1949-1970) იცავდა მოსკოვის „დინამოსა“ და სსრ კავშირის ეროვნული ნაკრების (1954-1967) კარს, ქვეყნის მთავარ გუნდში 78 მატჩი ჩაატარა. მელბურნის 1956 წლის ოლიმპიადის ჩემპიონი, ევროპის 1960 წლის თასის მფლობელი, ევროპის თასის (1964) ვერცხლის პრიზიორი. 1966 წელს ინგლისში მსოფლიო ჩემპიონატის საუკეთესო მეკარედ აღიარეს. 1963 და 1968 წლებში იცავდა მსოფლიოს ნაკრების (ფიფა-ს) კარს ინგლისისა და ბრაზილიის გუნდებთან შეხვედრებში, 1964 წელს იყო უეფა-ს ნაკრების გოლკიპერი სკანდინავიისა და იუგოსლავიის გუნდებთან მატჩებში. 1963 წელს დაჯილდოვდა ყოველკვირეული „ფრანს-ფუტბოლის“ პრიზით „ოქროს ბურთით“ როგორც ევროპის საუკეთესო ფეხბურთელი. ქვეყნის ხუთგზის ჩემპიონი, ზედიზედ 13-ჯერ იყო შეყვანილი სსრ კავშირის 33 საუკეთესო ფეხბურთელთა სიაში, 1960, 1963 და 1966 წლებში მიიღო ჟურნალ „ოგონიოკის“ რედაქციის პრიზი ქვეყნის საუკეთესო მეკარისათვის. დაჯილდოებულია ლენინისა და შრომის წითელი დროშის (ორჯერ) ორდენებით.

● ალბათ ძნელად თუ მოიძებნება ისეთი ფეხბურთელი, რომელიც შავი ზღვის სანაპიროს კურორტებს არ იცნობს. თუ არ ვცდები, თქვენთვის ახლობელია გაგრა, სადაც საბჭოთა ფეხბურთელების არაერთი თაობის წარმომადგენლებს უვარჯიშიათ, უასპარეზიათ, დაუსვენიათ...

— დიახ, აქ მოსკოვის „დინამოს“ შემადგენლობაში წინასასეზონო საწვრთნელ შეკრებაზე ჯერ კიდევ მაშინ ჩამოვედი, როცა ძირითადი მეკარეები ხომიჩი და სანაია იყვნენ. გაგრაში დასვენება ყოველთვის სასიამოვნოა. უდიდეს ყურადღებასა და ზრუნვას ვგრძნობ. მახარებს ძველ მეგობრებთან, განსაკუთრებით ვლადიმერ ბარქაიასთან და გიორგი სიჭინავასთან შეხვედრა.

● წლევანდელ მსოფლიო ჩემპიონატში საბჭოთა ფეხბურთელების გამოსვლის შესახებ განსხვავებული მოსაზრებები გამოითქვა. გულშემატკივრებს, ცხადია, თქვენი, როგორც კომპეტენტური პიროვნების აზრი აინტერესებს.

— ცხადია, ჩვენს გუნდს არ გაუმართლა, მაგრამ მაინც მსოფლიო ჩემპიონატისთვის უფრო გულმოდგინე მომზადებაა საჭირო. ბელგიელებთან შეხვედრაში, მსაჯთა შეცდომების მიუხედავად, ოთხი ბურთი არ უნდა გაეშვათ თავიანთ კარში. სუსტად ითამაშეს ბესონოვმა, დემიანენკომ და საერთოდ მთელი დაცვა ტაქტიკურ შეცდომებს უშვებდა. შესაძლებლობები სრულად ვერ გამოავლინა და გუნდი მარცხისგან ვერ იხსნა რინატ დასაევმა.

● აქვე ჩემპიონატთან დაკავშირებული კიდევ ერთი კითხვა მინდა დაგისვათ: რომელი გუნდი მოგწონათ ყველაზე მეტად?

— ბრაზილიის ნაკრები. სამწუხაროდ, ბრაზილიელებმა ნაადრევად დაიმშვიდეს თავი. კარგი გუნდია მსოფლიო ჩემპიონი, არგენტინის ნაკრები, რომელმაც ძალზე პროდუქტიულად ითამაშა და ხელიდან არ გაუშვა შანსი. რა თქმა უნდა, ძლიერად ითამაშა დიეგო მარადონამ. და მაინც, ბრაზილიელები უფრო სანახაობრივ და ტექნიკურ ფეხბურთს თამაშობენ, საწყენია, რომ ისინი ადრე გამოეთიშნენ გათამაშებას.

● ახლა საკავშირო პირველობას გადავხედოთ. პირველ ყოვლისა, ცხადია, თქვენი აზრი გვაინტერესებს თბილისის „დინამოზე“.

— „დინამოში“, როგორც ჩანს, თაობათა ცვლა მიმდინარეობს. ახალგაზრდებმა ჯერ ბევრი უნდა იმუშაონ. დარწმუნებული ვარ, რომ ისინი თავიანთ სიტყვას იტყვიან და გუნდი კვლავინდებურად იბრწყინებს.

● რაკი ახალგაზრდებზე ჩამოვარდა სიტყვა, ვის გამოყოფდით დინამოელთაგან?

— ძალიან მომწონს გელა კეტაშვილი. სწორად მოიქცნენ ოლიმპიური ნაკრების მწვრთნელები, როცა იგი ნაკრებში მიიწვიეს. მაგრამ იმისათვის, რომ დიდი ოსტატი დადგეს, გელამ დიდხანს მთელი დატვირთვით უნდა ივარჯიშოს. მომწონს გრიგორი ცაავა, მაგრამ არ მომწონს მისი არასტაბილურობა.

● ფეხბურთის მინდორს თქვენსავით დიდხანს შემორჩა ოლეგ ბლოხინი. რა აზრისა ხართ მის გამოსვლებზე საბჭოთა ნაკრების შემადგენლობაში?

— ჩემთვის არაერთხელ უკითხავთ: სჭირდება თუ არა გუნდს ბლოხინი. მინდა დაგარწმუნოთ, რომ ჯერ ადრეა მისი „ჩამოწერა“. ოლეგის გამოცდილების მქონე ფეხბურთელს ბევრი სარგებლობის მოტანა შეუძლია გუნდისთვის, რაც მთავარია, მის მაგალითზე იზრდებიან ახალგაზრდები.

● თბილისის „დინამოს“ მეკარეებიდან რომელს გამოყოფდით?

— ჩემი თაობის ფეხბურთელებიდან ვლადიმერ მარლანიას, შემდეგ სერგო კოტრიკაძეს. ახლა თქვენ გყავთ ძალზე ძლიერი მეკარე ოთარ გაბელია.

● ვინ შეიძლება მივიჩნიოთ თქვენს მემკვიდრედ საბჭოთა ფეხბურთში?

— ძალიან მომწონს მოსკოვის „ტორპედოს“ მეკარე დიმიტრი ხარინი. ინტენსიური ვარჯიშით მას შეუძლია დიდ წარმატებებს მიაღწიოს.

● საბჭოთა კავშირის პირველობაზე I ლიგის გუნდებს შორის ერთ-ერთი ლიდერია ლანჩხუთის „გურია“. რას გვეტყვით ამ გუნდზე?

— „გურია“ აზარტული გუნდია. დიდი მონდომებით თამაშობს, მაგრამ არ გეწყინოთ და პრეტენდენტებიდან უფრო პერსპექტიულად, მიუხედავად ჩავარდნებისა, გამოიყურება ცსკა-ს ახალგაზრდული გუნდი.

● საკავშირო ჩემპიონატების მატჩებს ცოტა მაყურებელი ჰყავს...

— როცა სტადიონზე, რომელიც თეატრში, კარგი შემსრულებლები გამოდიან, ტრიბუნები მაყურებლებით ივსება.

ლევ ივანეს ძევ, გაზეთ „ლელოს“ მკითხველთა სახელით გისურვებთ სასიამოვნო დასვენებას, ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს.

მაია მესხია,
„ლელოს“ ხაკ. კორ.

გაგრა.

Читателям газеты „Лело“
самые добрые пожелания в жизни.

Л. Яшин
29.10.86 г.

მაია აზარაშვილი

დასასრული

მაიას ცხოვრებაში იყო ასეთი პერიოდი, მაგრამ სპორტის სიყვარულმა მაინც თავისი გაიტანა. ეს სიყვარული ვერც ოჯახმა დაავიწყა. მისი მეუღლე ზურაბ მეგარნიშვილი სპრინტერი იყო და საერთო საქმემ ახალგაზრდა ოჯახი კიდევ უფრო შეაკავშირა.

1984 წელს მაია აზარაშვილმა საერთაშორისო კლასის შედეგი აჩვენა. ეს მისი პირველი მნიშვნელოვანი გამარჯვება იყო. იმავე წელს შეჯიბრება „მეგობრობა—84“-ზე ქვეყნის ნაკრების ღირსებას იცავდა და 4X100 მ. ამანათრბენში ვერცხლის მედალი მოიპოვა. სპორტსმენს სიმწიფის ხანა დაუდგა. მაგრამ ეს პერიოდი დიდხანს არ გაგრძელებულა, მაიას ხან ტრავმამ შეუშალა ხელი, ხან სხვა დაბრკოლებამ. მწვრთნელიც შეეცვალა. მაგრამ მაია და მისი ახალი მწვრთნელი ევგენი გაგუა იმედს მაინც არ კარგავდნენ, შეუპოვარ შრომაში ეძებდნენ გამოსავალს.

ამ წყვილის მზადება წლევანდელი სპორტული სეზონისათვის სპორტსმენისა და მწვრთნელის გამიზნული, მიზანდასახული მუშაობის ნიმუშად შეიძლება ჩაითვალოს. საკავშირო სპარტაკიადას მაია ბრწყინვალედ მომზადებული შეხვდა. „გზადაგზა“ საკავშირო თასიც მოიგო დახურულ მანეჟში.

IX სპარტაკიადაზე მძლეოსანთა შეჯიბრების დროს „ფახთაქორის“ სტადიონის ბილიკი, შეიძლება ითქვას, მაიას „საბრძანებელი“ იყო. 100 და 200 მეტრზე რბენაში ქართველ სპორტსმენს ბადალი არ ჰყავდა, თუმცა მისი მეტოქეები იყვნენ ნატალია პომოშნიკოვა, ირინა სლივსარი, ოლგა ვლადიკინა. ეს სპორტსმენები ჩვენი ქვეყნის პირველი ნაკრების აღიარებული ლიდერები არიან და ევროპის ჩემპიონატზეც სწორედ ისინი იცავდნენ საბჭოთა კავშირის სახელს. სხვათა შორის, ამ ტურნირში, მონაწილეობა მაიასაც შეეძლო, მაგრამ, რაკი სულ მცირე ხანში სპარტაკიადა უნდა დაწყებულიყო, შტუტგარტში გამგზავრებაზე უარი თქვა. საქართველოს მძლეოსანთა ნაკრების ლიდერმა ტამკენტში ორივე დისტანციაზე საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის შედეგი აჩვენა, ხოლო 200 მეტრზე — ხალხთა სპარტაკიადების რეკორდიც დაამყარა — 22,51.

მაია აზარაშვილის გამარჯვება კიდევ იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ თითქოს მან გაარღვია ფსიქოლოგიური ჯებირი ჩვენ მორბენლებს ხელს რომ უშლიდა „დიდ სარბიელზე“ წარმატებით გამოსვლაში. ახლა უკვე ბევრი მათგან დარწმუნდა, რომ შეიძლება სარბენ ბილიკზე აჯობო ლენინგრადის, კიევის, მოსკოვისა თუ მძლეოსნობის სხვა აღიარებული (ცენტრების წარმომადგენლებს, შეიძლება ძლიერ მეტოქეებთანაც გაიმარჯვო ისე დამაჯერებლად და ლამაზად, როგორც მაია აზარაშვილმა გაიმარჯვა უზბეკეთის დედაქალაქში.

ახალი გზის სათავესთან

დასასრული

ყველა პირობა აქვს შექმნილი როგორც ბავშვებს, ისე მოზრდილებს, დაახლოებით ასეა ხელბურთშიც. ჩვენი მიზანია სხვა სახეობებშიც გამოვასწოროთ მდგომარეობა. ასე რომ, სიმპათიების არასწორად განაწილების უფლება არა გვაქვს.

⊙ რას გვეტყვით თქვენი მუშაობის სპეციფიკაზე?

— ჯერ ერთი, სპორტულ თამაშებს სხვა სახეობებზე უფრო მეტი მაყურებელი ჰყავს, მეორეც, აქ ყველაფერი ისე ჩანს, როგორც ხელისგულზე. ეს დიდ პასუხისმგებლობას გვაკისრებს.

⊙ რა არის საჭირო იმისათვის, რომ თქვენდამი რწმუნებულ სახეობებში მუშაობა ძირეულად გარდაიქმნას?

— დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რამდენად პროფესიონალი იქნება მწვრთნელი და რამდენად კეთილსინდისიერად იმუშავებს იგი თავის თავზე.

⊙ ესე იგი მწვრთნელი თქვენ მთავარ ფიგურად მოგაჩნიათ?

— რა თქმა უნდა, ოღონდ შეგნებული და დაფიქრებული მწვრთნელი, რომელმაც იცის შრომის ფასი, რომელიც თავის მოვალეობას შემოქმედებითად უდგება.

⊙ დარწმუნებული ვართ, ასეთი მწვრთნელები მრავლად არიან.

— ჩვენ ვეცდებით ასეთი სპეციალისტები მოვიწვიოთ ყველა დარგში და დავეხმაროთ მუშაობაში, მაგრამ კონტროლიც მკაცრი გავუწიოთ. მწვრთნელმა უნდა იცოდეს, რომ სპორტი ერის სიხარულია და რომ იგი, საშვილიშვილო, პატრიოტულ საქმეს ემსახურება.

⊙ რა როლს ასრულებენ, თქვენის აზრით, სპორტში ვარსკვლავები?

— ვარსკვლავი ნებისმიერ სახეობაში სანატრელია, მაგრამ თამაშებში სხვაგვარადაა საქმე. მაგალითად, ორი ჩემპიონი კრივში ან მძლეოსნობაში წარმატების გარკვეულ ილუზიას ქმნის, სპორტულ თამაშებში კი საერთო დონე უნდა იყოს მაღალი — დონე ბავშვებში, სტუდენტებში, დიდ სპორტში. კოლექტიურ სახეობებში გადამწყვეტი მნიშვნელობა მასობრიობას ენიჭება, თორემ თითო-ოროლა ვარსკვლავი ჩვენს სახეობებშიც გვყავს.

⊙ კალათბურთი გაქვთ მხედველობაში?

— არ დაგავიწყდეთ, რომ მე ხელბურთსაც კარგად ვთამაშობდი და ერთ დროს ჭალაქს ჩემპიონიც ვიყავი...

⊙ ბეისბოლიც, რომელიც ესეს არის ინერგება, თქვენს გამგებლობაში შედის თურმე. რას გვეტყვით ამ თამაშზე?

— ბეისბოლის შესახებ ისეთივე აზრი მაქვს, როგორიც თქვენ. ვიცი მხოლოდ ის, რომ ბოლი ბურთს ნიშნავს, ბურთი კი, მოგეხსენებათ, ქართველებს ძალიან უყვართ.

⊙ წარმატებას გისურვებთ თქვენს საქმიანობაში.

— ეს წარმატება ყველამ ერთად უნდა გამოვუჭედოთ და ამაში პრესას დიდი დახმარების გაწევა შეუძლია.

ჩემპიონი, რომელიც ვარჯიშისთვის ვერ იცლიდა

დასასრული

იშელმა გოგონამ შეძლო ის, რასაც წლების მანძილზე საქართველოს ვერც ერთმა ქალმა ვერ მიაღწია — მეკლდეურთა საკავშირო ჩემპიონატში ოქროს მედალი მოიპოვა და სპორტის ოსტატის ნორმატივიც შეასრულა. არადა, სერიოზულად მას შემდეგ არ უვარჯიშია, რაც სკოლა დაამთავრა და საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტი გახდა. ბოლო ორი-სამი წლის განმავლობაში კი არც შეჯიბრებისთვის ეცალა და არც ვარჯიშისთვის.

თბილისში სასწავლებლად ჩამოსულს სოფელში მარტოხელა დედა დარჩა. მესამეკურსელი გოგონა იძულებული გახდა დაუსწრებელ ფაკულტეტზე გადასულიყო და მშობლიურ მესტიის რაიონს დაბრუნებოდა. ოჯახში ქალიც ის იყო და კაციც, სარეცხსაც რეცხავდა, შეშასაც აპობდა, აუთოებდა და თიბავდა კიდეც, თან სოფლის საშუალო სკოლაში ფიზკულტურის მასწავლებლად მუშაობდა, ბავშვებს მეკლდეურობაში ავარჯიშებდა, თავად კი... თავად სადღა ეცალა, ოსტატობაზე ეზრუნა. რამდენჯერ ააკითხეს თბილისიდან — ჩამოდი, გვჭირდები, ივარჯიშე და შეჯიბრებებზეც გამოდიო, მაგრამ დედის მიტოვება უმძიმდა, მხოლოდ მიხეილ ხერგიანის საკავშირო მემორიალს ვერ ღალატობდა. შარშან და შარშანწინ ოც-ოცი დღე ივარჯიშა და ისე ჩაება ამ ასპარეზობაში. ორივეჯერ გამარჯვებული დაბრუნდა, თანაც აბსოლუტური გამარჯვებაც მოიპოვა. იქნებ იმიტომაც ვერ ღალატობდა ამ შეჯიბრებებს, რომ მეხუთეკლასელმა სწორედ ამ ასპარეზობაში მოსინჯა პირველად ძალა.

— მაშინ, მიხეილ ხერგიანის მემორიალზე, მესტიელთა გუნდი მწვრთნელმა ავღან ნავერიანმა ჩამოიყვანა, — გვიამბობს ზინა ჭკადუასა ახლანდელი მწვრთნელი, სპორტის ოსტატი ლადო გურჩიანი. — თითისტოლა გოგონას ოსტატობამ, უფრო მეტად შეუპოვრობამ, ყველა გაგვაოცა. ისე ადიოდა ფრიალო კლდეზე, იფიქრებდით, გამოცდილი მეკლდეურიაო. გაფაციცებული მიიწევდა წინ, მაგრამ უცებ ერთ ადგილზე შეჩერდა. თითების ჩასაჭიდ შვერილს ვეღარ მისწვდა და იმიტომ. ან როგორ მისწვდებოდა, როცა სულ ერთი ციდა იყო. ათი წუთი იწვალა. მერე აცრემლებული ჩამოვიდა და თქვა, რომ გავიზრდები, აუცილებლად გავიმარჯვებო.

ოთხი წლის მერე, პროფკავშირების საკავშირო პირველობაზე, რომელიც სომხეთში გაიმართა, ხაიშელი მოსწავლე კვლავ ყველაზე უმცროსი აღმოჩნდა არა მარტო თავის გუნდში, არამედ ასპარეზობის მონაწილეთა შორისაც. მაშინ მხოლოდ ზინამ შესძინა თავის გუნდს ქულები. მომდევნო წელს ყაზბეგში რესპუბლიკის ჩემპიონი გახდა და ეს ტიტული კიდევ რამდენჯერმე მოიპოვა. 1983 წელს პროფკავშირების საკავშირო პირველობაზე „ტრუდის“ ცენტრალური საბჭოს ნაკრების სახელს იცავდა და 18 წლამდე ასაკის გოგონებში მესამე ადგილი დაიკავა, თუმცა, იმ დროს უკვე სერიოზულად აღარ ვარჯიშობდა.

— მერე საერთოდ ზურგი შეგვაქცია, — იხსენებს გურჩიანი. — ბევრჯერ ვცადეთ ჩვენსკენ შემოგვებრუნებია, მაგრამ ამაოდ. წლეულს, ზაფხულის მიწურულს, ჩეხოსლოვაკიელ მთამსვლელებს სვანეთში ვახლდი, თუმცა იმედი გადაწურული მქონდა, მაგრამ კიდევ ერთხელ ვცადე ზინას დაყოლიება. ჩემდა გასაოცრად, დამთანხმდა. საკავშირო ჩემპიონატამდე ორი თვეც არ იყო დარჩენილი, მაგრამ მაინც დიდი იმედი მოგვეცა, იუფშარასა და ჩერკესკაია პოლიანაზე — შეჯიბრების ადგილზე. იმ კლდეებზეც ვავარჯიშებდი, სადაც ვაჟთა ტრასა გადიოდა. ხშირად ვაჯებსაც ვაჯიბრებდი. ზოგჯერ მათაც ჯობნიდა. ასპარეზობაზე რაც მოხდა, იცით. ზინამ დიდი უპირატესობით გაიმარჯვა. ამ გამარჯვებამ ფრთები შეასხა, დაგვბერდა, ვარჯიშს განვაახლებ და კვლავ გავიმარჯვებო. უშრომლად რომ ასეთ წარმატებებს აღწევს, ვარჯიშის მერე რაღას იზამს. ზინას საოცარი ალღო და ინტუიცია აქვს. თითქოს თვალდახუჭული ავნებს თითების ჩასაჭიდ შვერილს. ავაზასავით მოქნილია და შესაშური შეუპოვრობით გამოირჩევა, ამ თვისებებით ირაკლი გელდიაშვილს მაგონებს.

სხვათა შორის, სახელგანთქმულ მთამსვლელთა შთამომავალია, იოსებ და ჯუმბერ კახიანები მისი ბიძები არიან.

— ჯუმბერს ორჯერ გავყევი მთაში და ამის შემდეგ მეორე თანრიგის შესრულება არ გამჭირვებია, — ამბობს ზინა. რას ვიფიქრებდი, მთები ასე თუ მომაჯადოებდნენ. მეკლდეურობა ვიღას ახსოვდა, მაგრამ შემიჩნდნენ და...

ავთანდილ გურასაშვილი.

კიდევ ცოცხა, „გურია“!

დასასრული

მატჩის 75-ე წუთზე ფრიდონაშვილმა სწრაფი რეიდი განახორციელა, გადაიწოდა ჩხაიძეს და ამ უკანასკნელმა ზუსტი დარტყმით კვლავ დაწინაურა „გურია“ — 2:1. დარჩენილ დროში ორმხრივი იერიშები არ შენელებულა, ლანჩხუთელებმა ბოლომდე შეინარჩუნეს ინიციატივა და ღირსეული გამარჯვებით დაამთავრეს ძნელი შეხვედრა. როგორც ჩვენმა სპეციალურმა კორესპონდენტმა გადმოგვცა კრასნოდარიდან, „გურიის“ თამაშმა მაყურებელთა საერთო მოწონება დაიმსახურა. ამ მატჩში ჩვენი გუნდის შემადგენლობაში გამოდიოდნენ: **გ. იმნაძე, კონდრატიევი, დანელია, ე. თევზაძე, მელიქია, ებანოიძე (ტყეებუჩავა), კოპალეიშვილი, მ. თევზაძე, ჩხაიძე, ფრიდონაშვილი, აკოფიანი. იმსაჯა კიშინოველმა ა. გორინმა.**

როგორც აღვნიშნეთ, **ლანჩხუთელ ფეხბურთელებს სულ 2 მატჩი აქვთ ჩასახარებელი, მათგან, ერთი შინ მოსკოვის „ლოკომოტივთან“ და ერთიც სტუმრად, ვორონეჟის „ფაკელთან“.**

ბოლო ტურებში რიგის **„დაუგავა“ დუშანბეში უნდა შეხვდეს „პამირს“, ხოლო შემდეგ ტაშკენტში — „ფახთაქორს“. ცსკა-ს შინ უნდა მიიღოს როსტოვის არმიელთა გუნდი, შემდეგ აბოვიანის „კოტაიკი“ და ბათუმის „დინამო“.** სწორედ ამ დარჩენილ მატჩებში გადაწყდება უმაღლესი ლიგის ორი საგზურის ბედი.

საღღეისოდ „დაუგავას“ 60 ქულა აქვს, „გურიას“ — 59, ცსკა-ს 55, ასკ „კარპატის“ — 52.

5 ნოემბერს ბათუმის დინამოელებმა თავიანთ მინდორზე მიიღეს სტავროპოლის თანაკლუბელთა გუნდი, რომელიც, ავრეთვე, ქვემო ლიგაში გადასვლის ერთ-ერთი კანდიდატია. ბათუმელებმა აქტიურად, მონდომებით ჩაატარეს მატჩი, მე-18 წუთზე ანგარიში მენაბდემ გახსნა, ხოლო ორიოდე წუთის შემდეგ კიკლიაშვილმა კიდევ უფრო დაწინაურა გუნდი— 2:0. 32-ე წუთზე ოსიპოვმა შეძლო ერთი საპასუხო ბურთის გატანა.

როგორც ჩვენმა ბათუმელმა კორესპონდენტმა **ო. მურვანიძემ** შეგვატყობინა, მასპინძლები კვლავ საგრძნობი უპირატესობით თამაშობდნენ შესვენების შემდეგაც, ზედანიამ კიდევ ერთი ბურთი გაიტანა სტუმრების კარში და 77-ე წუთზე სტუმრებმა მეორე საპასუხო ბურთი გაიტანეს.

საბოლოოდ ბათუმის „დინამომ“ გაიმარჯვა ანგარიშით 3:2. გუნდის შემადგენლობა: მამინაშვილი, კარანაძე (დიასამიძე), კაკაბაძე, დურდიაძე, ჩიქოვანი, ზედანია, კაკლაშვილი, ათუაშვილი, მენაბდე (პაიჭაძე), გორგილაძე, მაჭუტაძე (მაისურაძე).

ტურის სხვა შეხვედრათა შედეგები: „ისკრა“ (სმოლენსკი) — „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) 2:2, „შინიკი“ (იაროსლავლი) — „კოლოსი“ (ნიკოპოლი) 1:0, „კოტაიკი“ (აბოვიანი) — „როსტელმაში“ (დონის როსტოვი) 3:2, ასკ (დონის როსტოვი) — „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) 2:0, „ატლანტასი“ (კლაიპედა) — „ნისტრუ“ (კიშინოვი) — 3:2.

46-ე ტურის დარჩენილი 3 მატჩი გაიმართა გუშინ.

მეხუთე ადგილი

ტიუსონი (აშშ). საბჭოთა კავშირის „ალათბერთელ ვიოთ“ ბორბმ „ტესეთ“ „ტატრს“ ოლიმპიას უნივერსიტეტის გუნდი მინიმალური სხვაობით 82:81 (41:39) ... ... საბჭოთა ქალათბურთელთაგან ყველაზე შედეგიანები იყვნენ: ხომიჩუსი — 18 ქულა, ტარაკანოვი და ტკაჩენკო — 17-17 ქულა.

ბრაზილიელები მასპინძლობას ლამობენ

რიო-დე-ჟანეირო, 5 ნოემბერი. ბრაზილიის პრეზიდენტმა ჟოზე სარნეიმ „მწვანე შუქი“ გაუხსნა ამ ქვეყნის ფეხბურთის კონფედერაციის გადაწყვეტილებას იმის თაობაზე, რომ მან ოფიციალური განაცხადი შეიტანოს ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციაში 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ბრაზილიაში ჩატარების თაობაზე (1990 წლის მსოფლიო ჩემპიონატი მანამდე, როგორც ცნობილია, იტალიაში გაიმართება).

ბრაზილიის პრეზიდენტმა მიიღო ქვეყნის ფეხბურთის კონფედერაციის ხელმძღვანელი ო. გიმარაინსი, რომელმაც ამ ვიზიტის შემდეგ პრესის წარმომადგენლებს განუცხადა, რომ ბრაზილიის ფეხბურთის კონფედერაცია ყველაფერს გააკეთებს, ფიფა-ს დასათანხმებლად 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ბრაზილიაში ჩატარებაზე. მისი აზრით ბრაზილიელებს გარკვეული უპირატესობა აქვთ ამერიკის შეერთებული შტატების, კოლუმბიისა და მაროკოს ფედერაციებთან დაცაში.

ეკრანზე და ეთერში

ცენტრალური ტელევიზია. 7 ნოემბერი. დილის ტანვარჯიში — **9.00 (2);**

8 ნოემბერი. დილის ტანვარჯიში — **9.00 (2);** რიტმული ტანვარჯიში — **10.40 (2);** სტადიონი ყველასთვის — **11.55 (2);** სსრ კავშირის ჩემპიონატი ჰოკეიში — **14.00 (1);** დოკუმენტური ფილმი სპორტზე — **21.20 (2).**

9 ნოემბერი. რიტმული ტანვარჯიში — **9.40 (1);** „სპორტლოტოს“ ტირაჟი — **10.20 (1);** სსრ კავშირის ჩემპიონატი ჰოკეიში — **14.00 (2);** სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში: „დინამო“ (თბილისი) — „დინამო“(მოსკოვი) — **18.00 (2);** ევროპის ჩემპიონთა თასი წყალბურთში: „დინამო“ (მოსკოვი)—„უიეშტ დოჟა“ (უნგრეთი) — **21.20 (2);** საფეხბურთო მიმოხილვა — **22.45 (1);** მსოფლიო ჩემპიონატი ძალოსნობაში — **0.20 (1).**

საქართველოს ტელევიზია. 8 ნოემბერი. სპორტული გადაცემა: „მექსიკა-86“ — **18.45.**

9 ნოემბერი. სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში: „დინამო“ (თბილისი) — „დინამო“ (მოსკოვი) — **18.00;** საფეხბურთო მიმოხილვა — **22.45.**

საქართველოს რადიო. 9 ნოემბერი. რადიოჟურნალი „ფიზკულტურა და სპორტი“ — **14.30;** სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში: „დინამო“ (თბილისი) — „დინამო“ (მოსკოვი) — **19.00.**

„ლელიას“ შემდეგი ნომერი გამოვა სამშაბათს, 11 ნოემბერს.

რედაქტორის მოადგილე
თ. გაჩეჩილაძე.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096
თბილისი, ლენინის ქ. 14.
დეკეშებისთვის — თბილისი, „ლელი“.

რედაქციის ტელეფონები:
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
წერილების განყოფილება — 93-97-55,
„მართვე“ — 93-97-27, „მერანი“ — 93-97-26.

ჩვენი ინდექსი: 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 უე 07727